პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ოთხშაბათი, 29 აპრილი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 93 (791) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24. განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მოსპეთ მონური ცხოვრების ნაშთები.

ყველგან და ყოველთვის წითელ არმიელს უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობანი და ვალდებულებანი. მან არას დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ ის ატარებს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამცველის დიდ სახელწოდებას.

თითეული მისი ნაბიჯი, თითეული მისი მოქმედება მიმართული უნდა იყოს წითელი არმიის რიგების განმტკიცებისაკენ და გაფოლადებისაკენ. ის განსახიერება უნდა იყოს რევოლიუციონური დისციპლინის და შეგნების.

სამწუხაროდ ყოველივე ამას ხშირად ივიწყებენ ზოგიერთი წითელი—მოლაშქრეები, რომლებიც თავისი ცუდი საქციელით უფრო გვანან ძველი ყაზარმის უვიც და სიბნელეში მყოფ ჯარის კაცს, ვიდრე წითელი არმიის შეგნებულ მეომარს.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ორი საგულისხმო კორესპონდენცია. ერთი მათგანი მოგვითხრობს, რომ ნაწილში ქონდა ადგილი წითელ არმიელების მიერ ბანქოს თამაშს. მეორე, რომ ნაწილში ხშირად ხმარობენ უშვერ სიტყვებს. ორთავე ეს მოვლენა ყოვლად შეუწყნარებელია წითელი ჯარის რიგებში და ისინი დაუყონებლივ ძირბუდიანად უნდა აღმოიფხვრას.

რა წითელი-არმიელია ის, რომელიც ბანქოს თამაშობს და საშინელ ლანძღვა გინებას ისვრის? ბანქოს თამაში ეს ხომ მუქთახორების და მძარცველთა კლასის საზიზღარი „გასართობია“, რომელიც მათ თავის შემოსავლის ერთ ერთ წყაროთ გამოიგონეს. იგივე ლანძღვა-გინება—ეს ხომ მონობის და უკულტურობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია.

წითელი-არმიელი, რომელიც ბანქოს თამაშით ფულს ითვისებს თავის ამხანაგისაგან ან აგებს მასთან, არ არის ღირსი წითელ-ჯარში ყოფნისა. თავისი საზიზღარი საქციელით ის ხელს უწყობს წითელი არმიის არა გამაგრების საქმეს, არამედ დისციპლინის დაცემას და მუშურ გლეხური არმიის რიგების შესუსტებას.

ყოვლად დაუშვებელია აგრეთვე წითელ-ყაზარმაში, სადაც იჭედება შეგნებული რევოლიუციონერი მეომარი, ადგილი ჰქონდეს ლანძღვა-გინებას. ყოველივე ამ ნაშთს ძველი, დახავსებული მონური ცხოვრებისა ბოლო უნდა მოეღოს და უპირველეს ყოვლისა ამ მოვლენების მოსპობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით წითელ-არმიელებმა.

დასასრულ ერთი კორესპონდენციის შესახებ, რომელიც გვიამბობს თუ როგორ გულმოდგინეთ უსმენდა მკითხავის დარიგებებს და რჩევას ერთი წითელი-მოლაშქრე. სად რევოლიუციის ჯარისკაცი და სად მკითხავი?

მკითხაობა იმავე მონური ბურჟუაზიული ცხოვრების ჩვეულებაა. გაბატონებულ კლასების მიერ დევნილი დამონავებული და სასოწარკვეთილებას მიცემული უვიცი მშრომელი ეძებდა გამოსავალს სარწმუნოების ბურუსში და ზეციურ ძალთა რწმენაში. ის აგრეთვე მსხვერპლი ხდებოდა მკითხავებისა, რომლებიც დიდი ოსტატობით ატყუებდენ უვიცებს და ტყავს აძრობდენ მათ. და წითელ-არმიელი, რომელიც მკითხავს მიმართავს სწორედ წააგავს ისეთ ბნელს, გაუნათლებელ ადამიანს და არა შეგნებულ წითელ მეომარს.

სულ ორიოდე წელი უხდება წითელ არმიელს წითელ ჯარში მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მან ენერგიულად და მხნედ უნდა იმუშაოს წითელიჯარის გასამტკიცებლად. არც ერთი წუთი მან ტყუილად არ უნდა გაატაროს. როგორც მეცადინეობის დროს ისე თავისუფალ წუთებში მას უნდა ახსოვდეს მუშათა კლასის დიადი მიზნები და ის მუდამ უნდა ზრუნავდეს თვით მომზადებაზე, რომ მანაც შეიტანოს წვლილი ამ დიადი მიზნების განხორციელებაში. ამიტომაც რაც უფრო ადრე მოიშორებს ის თავიდან მონურ ცხოვრებისაგან ნაანდერძევ ჩვეულებებს, მით უფრო ნაყოფიერი იქნება მისი მუშაობა, მიმართული მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

ძირს ძველი დახავსებული ცხოვრების ნაშთები ჩვენს რიგებში, გაუმარჯოს რევოლიუციონურ ყოფა ცხოვრებას.

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.

ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის გამო კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნების მუშებს.

მოწოდებაში ნათქვამია:

„გერმანიისა და მთელი ქვეყნების შეგნებული მუშები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდენ ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის პოლიტიკურ მნიშვნელობას. მუშებმა, რომლებიც კიდევ თანაუგრძნობენ სოციალ-დემოკრატიას, ანგარიში უნდა გაუწიონ თავს იმაში, რომ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა ხელს უწყობს მსოფლიო ბურჟუაზიულ რეაქციის გამარჯვებას.

მონარქისტული საფრთხე გერმანიაში—ამის მაგალითია. მუშა—კომუნისტებმა უნდა დაინახონ ეს აშკარად.

კომუნისტებს არ შეუძლიათ იყონ იმ თვალსაზრისზე, რომ ჩვენთვის სულ ერთია—მონარქია თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკაო. კომუნისტები არამც თუ გულგრილად არ შეხედავენ ამ საკითხს, არამედ სათავეში ჩაუდგებიან ნამდვილ ბრძოლას მონარქისტული საფრთხის წინაამდეგ.

კომუნისტები კიდევ უწოდებენ ხელს მუშა—სოციალ-დემოკრატებს და ურჩევენ მათ ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს მონარქისტულ საფრთხის წინაამდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებთ მუშათა რიგების გაერთიანებისაკენ, მსოფლიო რეაქციის, მასთან მონარქიული რეაქციის წინაამდეგ გაერთიანებული ბრძოლისაკენ, შეტევაზე გამოსულ ფაშისტური ფრონტის წინაამდეგ და პროფკავშირთა მთლიანობის შექმნისაკენ.

კომინტერნი მოგიწოდებთ ახალი ომების საფრთხის წინააღმდეგ გაბედული ბრძოლისაკენ.

ძირს მსოფლიო ბურჟუაზიული რეაქციის დამქაშები—სოციალ-დემოკრატები.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას“.

# ახალი რადიო-ამბები

## ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის გამო.

### ინგლისი თავს იკავებს.

საქმეს კარგად გაცნობილი ინგლისის პოლიტიკური წრეები თავს იკავებენ და ფრთხილად გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შესახებ.

საღამოს გაზეთები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ გერმანიის არჩევნების შედეგებით.

ლოიდ ჯორჯის აზრით ჰინდენბურგის არჩევა არ დაემჩნევა მაინც და მაინც გერმანიის საგარეო პოლიტიკას.

### გერმანიის მუშათა კლასი სადარაჯოზეა.

საერთოდ საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური წრეები მშვიდად შეხვდენ ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევას.

„მატენ“-ი აღნიშნავს, რომ ჰინდენბურგის არჩევა უნდობლობას დაჰბადებს უცხოეთის სახელმწიფოებში გერმანიის მიმართ. რადიკალური პრესა ბრალს სდებს ნაციონალურ ბლოკს გერმანიაში მილიტარისტული განწყობილების გამოღვიძებაში.

კომპარტიის გაზეთი „იუმანიტე“ აღნიშნავს რა, რომ ანტიმონარქისტულად განწყობილი მუშები ხმებს აძლევდენ ტელმანს, აცხადებს, რომ თუ მონარქისტები მოინდომებენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, იმ შემთხვევაში მათ გზას გადაუჭრის რევოლიუციონური მუშათა კლასი კომპარტიის ხელმძღვანელობით.

### იტალიის გამოძახილი.

„იდეა ნაციონალე“ აღნიშნავს, რომ ჰინდენბურგის არჩევა ნიშნავს მილიტარიზმის გამარჯვებას.

„ტრიბუნა“ სწერს: „მებრძოლი გერმანია უბრუნდება მსოფლიო არენას და ემზადება დიპლომატიის ხუხულის დასანგრევად. გამოჩნდა ის ვინც აიძულებს სხვებს, ანგარიში გაუწიონ გერმანიას“.

„ეპოქა“ სწერს:

„ჩვენ არა ვართ ავანტიურისტები და სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ახალი პრეზიდენტი აწარმოებს ავანტიურების პოლიტიკას“.

## ამხ. რუტ ფიშერი ჰინდენბურგის არჩევის შესახებ.

გერმანიის კომპარტიის ბელადმა რუტ ფიშერმა განაცხადა, რომ ჰინდენბურგის არჩევა მოწმობს ბურჟუაზიის სრულ აღდგენას.

სოციალ—დემოკრატების ტაქტიკამ ხელი შეუწყო ჰინდენბურგის გამარჯვებას. მათი მტკიცება, რომ თითქოს ჩვენ ვიყვეთ დამნაშავე, არ არის მართალი.

რუტ ფიშერის აზრით ჰინდენბურგის არჩევამ შეიძლება გამოიწვიოს პირველ ხანებში აგრესიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

## ჰინდენბურგის ბიოგრაფია.

გერმანიის ახალი პრეზიდენტი გენერალ-ფელდმარშალი ფონ-ჰინდენბურგი დაიბადა პოზნანში 1847 წ.

სამხედრო განათლება მან მიიღო კადეტთა კორპუსში და სამხედრო აკადემიაში. სამხედრო კარიერა მან დაიწყო 1866 წლიდან, იმპერატორის გვარდიის ლეიტენანტობიდან.

1914 წელში ის ინიშნება აღმოსავლეთის არმიის მთავარ სარდლად. მისმა გამართლებულმა სამხედრო—ოპერაციებმა სახელი მოუხვეჭეს მას როგორც გერმანიაში, ისე საზღვარ-გარეთაც. 1916 წელს ჰინდენბურგი ინიშნება სრულიად გერმანიის არმიის მთავარ სარდლად და მთავარი შტაბის უფროსად.

1917 წლის დასასრულს ჰინდენბურგი თავს ანებებს სამსახურს.

ჰინდენბურგი გერმანიის ყოფილი იმპერატორის პირადი მეგობარია და მისი ცდები მიმართულია იქით, რათა დაუბრუნოს ტახტი მეფის გვარეულობას. ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევა ნიშნავს გერმანიის ბურჟუაზიის მობრუნებას მონარქიისა და სამხედრო დიქტატურისაკენ.

## ბულგარეთის ამბების გარშემო.

### ვენის პოლიციის უფროსსაც კი ეცინება.

მუშათა პარტიის ყოფილი წევრი და პარლამენტის წევრი მელლონი „დეილი ჰერალდის“ ფურცლებზე აცხადებს, რომ ბულგარეთიდან დაბრუნების დროს მან ინახულა ვენის პოლიციის უფროსი შობერი, რომელმაც დასცინა ბულგარეთის მთავრობის მტკიცებას, თითქოს ვენაში იმყოფებოდეს „ბოლშევიკურ ინტრიგების ცენტრიო“.

### მარტო „დეილი მეილი“.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი პროტესტს აცხადებს „მანჩესტერ გარდიენის“ წინაამდეგ, რომელიც აბრალებდა ბულგარეთის შემთხვევას ბოლშევიკებს.

გაზეთებიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განაგრძობს კამპანიას მხოლოდ უკიდურეს რეაქციონური გაზეთი „დეილი მეილი“.

ამ გაზეთის მოწინავეში მოთავსებულია მოწინავე შემდეგი სათაურით; „ვეფხვებთან ზრდილობიანი მოპყრობა არ გადის“. „დეილი მეილი“ იმეორებს თავის მოთხოვნილებას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გაყვანის შესახებ ინგლისიდან.

## ქურთების აჯანყების ლიკვიდაცია.

ბოლოვდება ქურთების აჯანყების სრული ლიკვიდაცია. დარჩენილი აჯანყებულთა რაზმები ჰბარდებიან ჯგუფებად.

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა

## საყურადღებოდ.

ქალაქ თბილისის მუშა-მოსამსახურეთა შესამოწმებლათ, რომელთაც ესაჭიროებათ საკურორტო მკურნალობა.

თბილისის დამზღვევ კასასთან დაარსებულია

საკურორტო გადამრჩევი **კომისია**

შემდეგი წარმომადგენლებისაგან:

თბილისის დამზღვევ კასის, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და სამ სპეციალისტ ექიმებისაგან.

რაც შეეხება სხვა ქალაქებს და მაზრებს საკურორტო გადამრჩევი კომისია დაარსებულ უნდა იქნეს დამზღვევ კასებთან შემდეგი შემადგენლობით: დამზღვევ კასის, პროფკავშირის, ჯანმრთელობის ორგანოს წარმომადგენლები და სამი სპეციალისტი ექიმი.

კომისიის თავმჯდომარეთ ითვლება თბილისში—პროფსაბჭოს წარმომადგენელი, პროვინციაში—პროფბიუროს წარმომადგენელი.

დამზღვევ კასის, პროფსაბჭოს და ჯანმრთელობის ორგანოს წარმომადგენლები კომისიაში სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით, ექიმებს კი როგორც სპეციალისტებს, აქვთ სათათბირო ხმა.

კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის და ქართულ დივიზიის ავადმყოფები გატარებულ უნდა იქნან საერთო კომისიაში და აღნიშნულ ავადმყოფების გაშინჯვის დროს კომისიაში ესწრება წითელ დროშოვან ლაშქრის წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

საქ. პ. კ. ს. პასუხიმგ. მდივანი **ბ. ყურულიშვილი**

რეს. სოც. დაზღ. სამმართ. უფროსი **ა. გოგიბერიძე**

მთავარ საკურ. სამმართ. უფროსი **აბზიანიძე**.

1—1.

მთა შერეფფედინი, რომელიც უკანასკნელი თავშესაფარი და სიმაგრე იყო აჯანყებულთათვის, სრულიად გაწმენდილია უკანასკნელთაგან.

## შვეციის პროფკავშირთა დელეგაციის დაბრუნება.

საბჭოთა კავშირიდან სტოკჰოლმში დაბრუნდა შვეციის პროფკავშირთა დელეგაცია.

დელეგატებმა აღუთქვეს პრესის წარმომადგენლებს, რომ ისინი მოკლე დროში მისცემენ მათ დაწვრილებითი ანგარიშებს მოგზაურობის შესახებ.

დელეგატები კმაყოფილებას გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებით.

ტფილისის საოლქო ნივთ-საწყობთან არსებული კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სავაჭრო კომისია

აცხადებს, რომ კვირას, ა. წ. 3 მაისს საწყობის შენობაში (ნავთლუღში) დილის 11 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება არმიისთვის არა საჭირო და გამოუსადეგი ქონება, სახელდობრ: სხვა და სხვა ძველი ტილოულობა, ბრეზენტი, ნარევი მაუდ-შალეული, ცხენის იარაღი, მორთულობა, ცხენის უღელი (ხომუტი), საყელური, რეზინიანი ნაქსოვი, ინგლისური საზაფხულო ქუდები, სანიტარული მაფრაშა-ზანდუკები, სხვა და სხვა ლვედები, სასწორები, ზამბარაკიანი სასწორები, წონის სხვაობის მაჩვენებელი, გუთნები, სათესი ხელსაწყოები, სანიავებელი, ფარცხები და სხვა სასოფლო-სამეურნეო წყობილობა, ჩამოსხმული სპილენძი, დამტვრეული ტახტები, დამტვრეული საკერავი მაშინები, სხვა და სხვა რკინეულობა, თუნუქი, თუჯი და სხვა. იმ პირთ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში შეუძლიათ დაათვალიერონ ჩამოთვლილი ნივთები საჯარო ვაჭრობის დღეს დილის 10 საათიდან. ფასები ყველა ნივთებზე დაკლებულია.

სავაჭ ო კომისია.

## ამხ. ორახელაშვილს-წყალსადენსანიტარულ-ტეხნიკურ ყრილობისაგან.

საკავშირო წყალსადენისა და სანიტარულ—ტეხნიკური მე-13 ე ყრილობა, რომელიც შეკრებილია ამ. კავ. რესპუბლიკების ცენტრში თავის პირველ საზეიმო სხდომაზე 26 აპრილს გირჩევს თქვენ ყრილობის საპატიო წარმომადგენლად.

გაცნობებს რა ამის შესახებ, ყრილობა გესალმება, თქვენ და გამოსთქვამს რწმენას, რომ ყრილობის მუშაობა, რომლის მთელი ყურადღება მიქცეულია იმისკენ, რათა გადაჭრილ იქნას ყოველი მტკივნეული საკითხი ამიერ-კავკასიის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის,—დიდ სარგებლობას გაუწევს ამ საკითხების გადაჭრას მშრომელთა საკეთილდღეოდ, იმ დახმარების წყალობითით, რომელიც გაუწია ყრილობას საბჭოთა ხელისუფლებამ. **ყრილობის პრეზიდიუმი.**

## ამხ. იოფფეს წინააღმდეგ.

პოლონეთის გაზეთ „რეჩ პოსპოლიტიამ“ მოათავსა წერილი იოფფეს წინააღმდეგ, რომელშიაც ნათქვამია, რომ იოფფე ყოველგან „სთესდა რევოლიუციას“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობამ არ უნდა შემოუშვას იოფფე, როგორც „არა სასურველი უცხოელი“.

გაზეთი მიაწერს იოფფეს ბულგარეთის ტერორისტული აქტის მოწყობას.

## სამხედრო საქმე

## მძიებელ მზვერავთა ჯგუფი.

როგორც სამხედრო პირები ამბობენ მძიებელი ჯგუფი სამხედრო ნაწილის თვალი და ყურია. ბევრ შემთხვევას შეხვდები სამხედრო ისტორიაში, როცა ძიების საქმის მოუგვარებლობის გამო მთელი ნაწილი დამარცხებულა და გაწბილებულა.

ამიტომ ეს რთული საქმე რაც შეიძლება კარგად უნდა იქნას შესწავლილი, რომ არ დამარცხდე ბრძოლის ველზე.

ყოველმა ნაწილმა მიუხედავად თავის შემადგენლობისა და სადაც არ უნდა იყოს ის, არ უნდა უცადოს განკარგულებასა და დარიგებას ზევიდან და უნდა მოაწყოს ძიების საქმე.

ძიება (დაზვერვა) უნდა სწარმოებდეს ჰაეროპლანების, ცხენოსნების, ქვეითა და ჯაშუშების საშუალებით. ყველა ამ ზემოაღნიშნულ სხვადასხვა გვარ ძიებიდან, პატარა სამხედრო შეერთებულებათათვის უფრო ხელსაყრელია ცხენოსანი მაძიებელი ჯგუფი. ქვეითი ჯგუფი ძიებას აწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა 1) ნაწილში არ არის ცხენოსანთა რაზმი, ან და როცა ის მოქანცულია და არ შეუძლია მუშაობა; 1) როცა ცხენოსანთა ძიების წარმოება შეუძლებელია (მთიანი ან ჭაობიანი ადგილების, გაუვალი ხევის, ხშირი ტყეების, ატმოსფერული პირობების: თოვლის, ნისლის ან ბნელი ღამეების გამო) და ბოლოს იმ შემთხვევაში, როცა მტრის სიახლოვის გამო არ შეუძლია იმუშაოს ცხენოსანმა ჯგუფმა.

ქვეითი მძიებელი ჯგუ[...] შესდგება მძიებელი ჯგუფი[...] და მძიებელ მზვერავთაგ[...] მძიებელ მზვერავ ჯგუფში ჩვ[...]ულებრივად იგზავნება მთელ[...] განყოფილების შემადგენლო[...]ბა. მას ეძლევა შემდეგი ამ[...]ცანა: მივიდეს მტერთან ა[...]ლოს და შეკრიბოს ცნობე[...] იმის შესახებ, თუ სად იმყ[...]ფება ის, რა ძალა ჰყავს, რ[...] აკეთებს, რა შემადგენლობ[...] ჯარი ჰყავს, და თუ შესაძლ[...]ბელი იქნება, უნდა გაიგოს თ[...] რა განკარგულება და ბრძან[...]ბა აქვთ მათ მიღებული, რო[...]მელთა მიხედვითაც შეიძლ[...]ბოდეს მტრის განზრახვისა [...] მიზნების გაგება.

ამას გარდა მძიებელ მზვ[...]რავთა ჯგუფს შეიძლება მ[...]ენდოს ცნობების შეკრ[...] იმის შესახებ, რომ დაკ[...]ბულია თუ არა ესა თუ [...] ადგილი მტრის მიერ.

ამასთან გასაგზავნ მზვერავთ[...] ჯგუფს ატყობინებენ: როგო[...] და სად არიან მოთავსებულ[...] ჩვენი ჯარები, სად იმყოფ[...]ბა მტერი (ადრე მიღებულ[...] ცნობების თანახმად), მზვერა[...]თა ჯგუფის ნომერს, მზვერა[...]თა ჯგუფის მიმართულებას[...] თუ რომელი ადგილები დ[...] საგნები აუცილებლად უნდ[...] გასინჯონ მზვერავებმა, საით[...]საიდან და როდის უნდა გა[...]გზავნონ მოხსენებები, როდ[...] და სად უნდა დაბრუნდენ დ[...] წასვლისა და დაბრუნებ[...] დროს.

ყოველივე ეს აუცილებელი[...] მზვერავთა უფრო წარმატებით[...] მუშაობისათვის.

თუ როგორ იგზავნება დ[...] მოძრაობს მზვერავთა ჯგუფ[...] ამის შესახებ შემდეგ წე[...]ლში.

ი. ბარ.

## კულტურული შეფობა სოფელზე.

ჩვენი დიდი და შეუდარებელი მასწავლებელი, მსოფლიო რევოლიუციის ბელადი ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხკაცობის კულტურულ დონის აწევას. ამ მხრით ის დიდ როლს აკუთნებდა ქალაქის მუშათა კლასს. და მართლაც ჩვენი გლეხკაცობა, საუკუნოებით დამონავებული ბუნების სხვა და სხვა მოვლენებისაგან, დამორჩილებული და გაბიაბრუებული სოფლის წურბელებისაგან—თავად აზნაურებისა და სამღვდელოებისაგან, აუცილებლათ მოითხოვს დღეს დიდ დახმარებას, დიდ ხელმძღვანელობას მუშათა კლასის მხრივ. ეს იდეა უაღრესათ მნიშვნელოვანია და მუშებისა და გლეხკაცობის კავშირს თითქმის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, სასაბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამიტომ არის, რომ დღეს ჩვენი პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და მუშური ორგანიზაციები მთელი თავისი შეგნებით ამ დიად საქმეს,—კულტურულ შეფობას სოფელზე, უდიდეს ყურადღებას აქცევენ. დღეს-დღეობით ჩვენს უმთავრეს საწარმოვო ქალაქებში დაარსებულია კულტურული შეფობის საზოგადოებები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასა და კომუნისტურ პარტიასთან ერთად აკეთებენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც კომუნიზმი, კომუნისტური საზოგადოება ეწოდება.

მუშათა ორგანიზაციები ამ მხრივ პირველ რიგში სდგანან. მათ მიერ გაწეულ მუშაობას მართლაც რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხკაცობის კულტურულ დონის ამაღლების და ეკონომიურათ წინსვლის საქმეში.

კულტშეფობის მხრივ დიდ მუშაობას ეწევა აგრეთვე წითელი არმია, რომელიც იმდენათ შეგნებული და განვითარებულია, რომ სამართლიანათ ითვლება ერთ უდიდეს კულტურულ ძალათ.

მას თავისი კულტურული შეგნება, განვითარება გადააქვს ჩამორჩენილსა და უცოდინარ გლეხკაცობაში. დღეს ვისაც არ უნდა კითხოთ ყველა ლაპარაკობს იმ ფრიად დიდ საქმეზე, რომელსაც ჩვენი წითელი არმიელები აკეთებენ სოფლად.

წითელ არმიელმა კარგათ იცის თუ რა აწუხებს სოფლის გლეხკაცობას; თუ როგორი მიდგომაა საჭირო სოფლის მშრომელი გლეხკაცობისადმი, ვინაიდან ის თვით გამოსულია სოფლიდან. მას ეადვილება გლეხთან საუბარი, მათთან დაახლოება.

კულტშეფობის მხრივ ჩვენმა ნაწილებმა ბევრი რამ გააკეთეს და ეხლაც ბევრ რამეს აკეთებენ. მაგრამ ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება და გამუდმივება მაინც საჭიროა. ამ საქმეს ნაწილებში ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები, უმთავრეს შემთხვევებში სხვათა შორის აკეთებენ. ჩვენ კი ვაღიარებთ, რომ წითელ არმიის დღევანდელ მშვიდობიან მშენებლობის პირობებში ჩვენს უდიდეს მოვალეობას შეადგენს დაუზოგავი მუშაობა და საქმიანობა ამ მხრივ.

ამ მიზნით აუცილებლათ ნაწილებში უნდა ჩამოყალიბდეს კულტშეფობის კომისიები, რომელშიაც ჩართულ უნდა იქნეს უფპოლიტ-შემადგენლობა, პარტიისა და კომკავშირის წევრები და წითელ არმიელთა აქტიური ნაწილი.

დღევანდლამდი ამ მუშაობას ნაწილებში აწარმოებდა ძალიან მცირე ჯგუფი ამხანაგებისა, ფართო მასსა კი ნაწილისა არ იყო ჩაბმული ამ საქმეში. ეს კი დაუშვებელი რამ არის.

წარსულში, წითელი არმიის მხრივ შეფობა სწარმოებდა უმთავრესად საბანაკოდ გასვლის პერიოდში. მე კი მგონია, რომ ეს დიდი დანაშაულია. სრულებით არაა საკმარისი, რომ რომელიმე ნაწილმა მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში გაუწიოს სოფელს შეფობა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის არაფრის გაკეთება არ შეიძლება, გარდა ზერელე მუშაობისა, ისიც უმეტესათ მიტინგური ხასიათისა. ეს კი დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს გლეხკაცობას.

საჭიროა მუდმივი, წლიდან-წლამდე შეუწყვეტელი კავშირი შეფისა და გლეხკაცობას-შორის. წითელ არმიის ნაწილებს თამამად შეუძლია გასწიონ კულტშეფობა არა მარტო ზაფხულის პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში. მხოლოდ საჭიროა მეტი ენერგია, საჭიროა ნაწილის აქტიური მასების ჩაბმა ამ საქმეში და არა მარტო ორი, სამი კაცის მუშაობა.

იქ, სადაც ჩვენი წითელი არმიის ნაწილები დამოუკიდებლად ვერ შესძლებდენ კულტშეფობას შეუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში, საჭიროა კულტშეფობა გაწეული იქნეს რომელიმე მუშურ ორგანიზაციასთან ერთად. ყველა ნაწილებს უნდა ახსოვდეს, რომ არავითარ შემთხვევაში ისინი არ უნდა ჩამორჩენ ამხ. მუშებს.

ჩვენ ვიცით რომ გასულ წლის ზაფხულში ყველა ჩვენ ნაწილებს ყავდათ აყვანილი კულტშეფობაზე სოფლები. ბევრმა მათგანმა საზამთრო პერიოდში თანდათან გასწყვიტეს კავშირი. ეს უკვე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არა სასურველი მოვლენაა. აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს კავშირი დაუყონებლივ აღდგენილ იქნას.

ყოველმა ნაწილმა დღესვე უნდა იზრუნოს და გამოიმუშაოს გეგმა მომავალი მუშაობისა. აუცილებლათ დღესვე უნდა იქნეს გადახედული გასულ წლის მუშაობის ჯამი, წარსული მუშაობა უნდა გატარდეს სათანადო კრიტიკის ქვეშ. დღესვე უნდა აღადგინონ კავშირი შარშანდელ საშეფო სოფლებთან. დღესვე ჩვენმა ნაწილებმა უნდა მიიღონ მათგან ცნობები ადგილობრივი პარტიისა და კომკავშირისა, ა[...] გლეხკომისაგან ცნობა: თუ დაახლოებით რა უფრო სჭირ[...]დება და რით უფრო არი[...] დაინტერესებული საშეფო სოფლის გლეხკაცობა.

ჩემის აზრით ნაწილებმა და[...]უყონებლივ უნდა გამოყო[...] მუდმივი საშეფო კომისია რომელმაც საჩქაროთ უნდა გამოიმუშაოს ფართო გეგმა მომავალ მუშაობისა და ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ კავშირი წითელ-არმიას და გლეხკაცობას შორის, ერთის მხრით, და ავამაღლოთ და გავაღრმაოთ კულტურული დონე და ცოდნა ჩვენი გლეხკაცობისა, მეორეს მხრით.

ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ ამ ფრიად დიდ საქმეს, საქმეს რომელსაც ბევრი ჩვენი ამხ. ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, ჩვენი წითელი არმიის ხელმძღვანელები, პარტიული და უპარტიო მასა მაგრათ ჩასჭიდებს ხელს.

მხოლოთ საჭიროა მეტი ენერგია, მეტი გამჭრიახობა, ინიციატივა და ამ მუშაობაში წითელ-არმიელთა ფართე მასების ჩაბმა.

ა. კვირიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება.

## მე-6-სე ქართულ მსროლელ ლეგიონის მეექვსე ასეულის ცხოვრებიდან.

1925 წ. 3 აპრილს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ: მე-6-სე ასეულის კომ-პარტიის და კომკავშირის წევრები, უპარტიო წითელ-არმიელები, უფპოლიტ-შემადგენლობა და წვევამდელები.

თავმჯდომარეობდა ამხ. ოტტო და მდივნობდა ამხ. ბეკი.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. მუშაობა წვევამდელთა შორის.
3. შეფობის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის სამაზრო პარტკომის აგიტ-პროპის გამგე ამხ. სოფიანიდი, რომელმაც დაწვრილებით შეეხო დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს და სხ. რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელთა შორის.

იყო მრავალი შეკითხვები, რომელსაც გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მომხსენებლის მიერ, რომლის შემდეგ კრებას გამოაქვს შესაფერი რეზოლიუცია.

მე-2-რე საკითხზე მწვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლანგი, რომელიც ეხება მწვევამდელთა შორის მუშაობის ყველა მომენტებს.

შეფობის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიგოლია, რომლის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

გაეწიოს იდეური შეფობა სოფელ—რატევანზს. ეთხოვოს სამაზრო პარტკომს რათა მოგვეცეს საჭირო ლიტერატურა, გაზეთები და სხვა შეფობის ჩასატარებლად.

საკითხების ამოწურვის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

სამხკორი

ლადო კოტიანეთელი.

## მოგვეცით სინათლე და საათი.

მეხუთე ლეგიონი.

დიდი ხანია, რაც ლეგიონის ეზოში სინათლე არა გვაქვს. უსინათლობა ძალიან გვაწუხებს წვიმიან ამინდებში. ისეთი ტალახი დგება, რომ გავლა გასაჭირია. რა თქმა უნდა წვიმას სრული უფლება აქვს მოვიდეს, მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდები, მაგრამ სინათლე რომ მოგვცა, ტალახში არ ამოვისვრებით მაინც.

ამას გარდა გუშაგებს უხდებათ გამოცვლა ისეთ ბნელში, რომ არამც თუ ბეჭედს, კარებსაც კი ვერ ხედავე საგუშაგოს ჩაბარების დროს.

არის კიდევ ერთი დაბრკოლება სადარაჯოს საქმეში. სადარაჯო შენობაში არა გვაქვს საათი. სადარაჯოს უფროსები დარბიან დროს გასაგებად აქეთ-იქეთ. ერთი რომ ისინი ვერ ისვენებენ და მეორეც—გუშაგებს თავის დროზე ვერ სცვლიან. იმედია მიაქცევენ ყურადღებას ამ საქმის მოგვარებას, რაიც არ მოითხოვს დიდ თანხას.

წ. ა. აბაზი.

## წითელ-არმიელისათვის არა საკადრისი საქციელი.

არტლეგიონში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას.

ლეგიონის სამხედრო კომისარი წააწყდა არტლეგიონის სამმართველოს გუნდის სამ წითელ-არმიელებს, რომლებიც თავდავიწყებით შეექცეოდენ ბანქოს თამაშს.

სამხკომმა იმ წამსვე ჩამოართვა მოთამაშეებს ბანქო. თვით ამ წითელ-არმიელების უმგვანო მოქმედება დაისვა ლეგიონის საერთო კრებაზე, რომელიც დაგმობილი იქმნა მთელი კრების მიერ ერთხმად. ბანქო წითელ-არმიელთა მოთხოვნით კი დასწვეს.

ბანქოს თამაში სრულიად არ შეეფერება მშრომელთა ინტერესების და თავისუფლების დამცველს—წითელ-არმიელს. თუ სადმე აქვს ადგილი ასეთ საზიზღარ მოვლენას, ის იმ წამსვე უნდა იქმნას აღმოფხვრილი.

წითელი ყაზარმა ბანქოს სათამაშო სახლი არ არის, არამედ ის ცოდნის და კულტურის კერაა.

წითელი არმია ვერ მოითმენს თავის რიგებში ბანქოს მოთამაშეს და სხვა ამ გვარ არამზადებს!

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## მიეცით კოლიტ საათებზე დასწრების საშუალება.

პირველ საარტილერიო ლეგიონის სამწყობრო კანცელიარიაში მსახურობენ გადამწერებად წითელ არმიელები. ეს ამხანაგები დილის 6—საათიდან, საღამოს 10 საათამდე თავ-




აულებლივ მუშაობენ და საშვალება არა აქვთ დაესწრონ პოლიტსაათებსა და სხვა სამხედრო ხასიათის მეცადინეობას.

ომის პირობებში თითეული წერა-კითხვის მცოდნე არმიელი შეიძლება გამოდგეს კანცელიარიაში გადამწერად.

საჭიროა იარაღის მოხმარაც იცოდენ თორემ ვინ იცის სად მოხვდებიან და როგორ პირობებში.

მიეცით საშვალება სხვა რამეც შეიძინო ამხანაგებმა ჩვენს რიგებში.

პარტკორი მიხო საწირელი.

## სახაზინო ქონება არ ენაღვლებათ.

პირველი ლეგიონი.

აღნიშნულ ლეგიონში ძლიერ გავრცელებულია სახაზინო ქონებისადმი უყურადღებოთ მოპყრობა. უნცროს მეთაურებიდან დაწყებული და გათავებული წითელ არმიელებით ძლიერ შეაჩვიეს ხელი ტყავის სავაზნის თასმებისა და ბალთების ჭრას. სავაზნის თასმა და ბალთები ქამრებათ აქვთ დაკეთებული.

რად არ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ საჭიროების დროს ასეთი დაუდევარი მოპყრობის წყალობით, სავაზნეებში აღარ დაკავდება ვაზნები?

ლეგიონის ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას და სახაზინო ქონების გაფუჭებას ბოლო მოეღოს.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ყარაულის უფროსის თანაშემწესაც უნდა ბინა.

ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.

თბილისის გარნიზონში ყარაულების უფროს მორიგეს ენიშნება თანაშემწეები, რომლებსაც აბარიათ ყარაულები. მათი მოვალეობაა იყვნენ საყარაულოში. წესდების თანახმად ყარაულების მორიგის თანაშემწემ იცის თუ როდის შეუძლია მას დაისვენოს ან დაიძინოს.

საუბედუროთ თანაშემწეს დასაჯდომი ბინაც არა აქვს მიცემული.

ჩვენ ვიცით საგარნიზონო წესდება და ის პარაგრაფებიც, რომლებიც გვეუბნებიან თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი სამორიგო ოთახი.

ამის მსგავსი ჩვენ არაფერი გვაქვს.

ყარაულის უფროსის მორიგის თანაშემწეს დასასვენებლადაც არა აქვს ოთახი.

საჭიროა კომენდანტმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მოგვცეს ერთი ოთახი.

ზოკო.

## თუ კარანტინია კარანტინი უნდა იყოს.

(არტლეგიონის ექიმის საყურადღებოთ).

არტლეგიონის კარანტინი სავსებით ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. არ კმარა მარტო დიდი ასოებიანი „ვივესკი-“ს მიკვრა რომელიმე ოთახზე და სახელის—„კარანტინის“ დარქმევა.

აქ უნდა იყოს ყველაფერი რიგზე და კარანტინის წითელ არმიელები არ უნდა სეირნობდენ ყაზარმებში.

ჩვენს კარანტინში კი სწორედ ასე ხდება. ზედამხედველობას მოკლებული კარანტინის წითელ არმიელები თავისუფლად დასეირნობენ თავთავიანთ ბატარეის ყაზარმებში, სამკითხველოში და სხვაგან, სადაც ხვდებიან თავიანთ ამხანაგებს.

ეს მოვლენა კი ავადმყოფობის მოსპობის მაგიერ, პირიქით ხელს უწყობს მის გავრცელებას.

ამ მიზეზით კვირაში ორი წითელი არმიელი მაინც ხდება ავად და იგზავნება ჰოსპიტალში, სადაც (კარანტინის ჩათვლით) სამი კვირა მაინც უნდა გაცდეს.

ამ ხნის განმავლობაში წითელ არმიელები სცდებიან ყოველგვარ მეცადინეობას და ამხანაგებს უკან რჩებიან.

ამ გარემოებას აუცილებლათ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ლეგიონის ექიმის მიერ.

სამხკორი ლ—ო.

## სასტიკი ყურადღებაა საჭირო.

თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში მყოფ ავადმყოფ წითელ-არმიელების ნახვა, ჰოსპიტალის ადმინისტრაციის მიერ ნება დართულია ყოველ ხუთშაბათობით და კვირაობით ნაშუადღევის 2 საათიდან.

ავადმყოფებს სისტემატიურად მოუდისთ მნახველები, რომლებსაც პირდაპირ უშვებენ ჰოსპიტალის ეზოში. აქ იმართება ავადმყოფსა და მნახველს შორის ხანგრძლივი საუბარი.

ჭირისუფლებმა, არ იციან იმის ნამდვილი ავადმყოფობა ვის სანახავადაც მოდიან, რადგან თითონ ავადმყოფი ვენერიული ან სხვა ასეთი სენით ავად, არის.

ადმინისტრაცია ამ გარემოებას არ აქცევს ყურადღებას. საფრთხე კი დიდია, შესაძლებელია ავადმყოფმა გადასდოს მნახველს სენი და დაიღუპოს ოჯახი, ოჯახით უბანი, სოფელი და სხვა.

ხუთშაბათს 23 აპრილს ვიყავი შემდეგი მოვლენის მოწამე: 1-ლ კორპუსის პირველ პალატაში არიან ათაშანგიანი ავადმყოფები: ერთ მათგანს მოუვიდა მნახველები, დედა, და, ძმა და ორი ქალი კიდევ ნათესავები. იკითხეს ავადმყოფის გვარი, შემოვიდენ ეზოში.

ათაშანგიანი ავადმყოფიც გამოვიდა. დედას გეხარდა რომ ცოცხალი ნახა შვილი გადაეხვია და აკოცა. ასევე გადაკოცნა დანარჩენებიც. ისაუბრეს რამოდენიმე ხანსა და გამოემშვიდობენ—ახლაც შეიქნა კოცნა და ხვევნა.

ასეთი მოვლენები აქ ხშირად ხდება, როგორც ვენერიკების ისე სხვა გადამდებ სნეულებით ავადმყოფ წითელ-არმიელების მიერ, რასაც ადმინისტრაციამ უნდა მიაქციოს სასტიკი ყურადღება, თორემ მოსალოდნელია ჰოსპიტალმა გაავრცელოს უფრო სხვა და სხვა ავადმყოფობა ვიდრე ავადმყოფები განკურნოს.

სამხკორი ჯლანკი.

## ქ. მ. დ. მეორე არტლეგიონის საგაუბიცო ბატარეის წვევამდელთა ცხოვრებიდან.

მეორე არტ-ლეგიონის საგაუბიცო ბატარეის წვევამდელთა მეცადინეობა დაიწყო ამა წლის პირველ მარტიდან. წვევამდელთა რიცხვი 107 კაცამდე აღწევს, რომელთა შორის 29 კაცი ა. ლ. კ. კავშირის წევრია.

პოლიტ-და სამხედრო მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურათ, ხელმძღვანელები კარგი გვყავს. მათი მოპყრობა ამხანაგურია, დეზერტირობას ადგილი აქვს.

ზოგიერთი ამხ. მხოლოთ გამოცხადდებიან და შემდეგ აღარ მოდიან, ანდა მოვლენ კვირაში ერთჯერ. მიზეზათ ასახელებენ ავათმყოფობას მხოლოდ მოწმობები კი არც ერთს არა აქვს.

ყველა წვევამდელმა უნდა იცოდეს რომ დეზერტირობა დაუშვებელი მოვლენაა.

დეზერტირობას ადგილი აქვს კომკავშირელებშიდაც, რის წინააღმდეგ რაიკომმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

ა. ლ.კ.კ. უჯრედის მუშაობა.

კომკავშირის ჯგუფი დაარსდა დღიდან მეცადინეობის დაწყებისა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ის ისევ დაიშალა. ჯგუფი ხელმეორედ იქმნა დაარსებული, არჩეული იქმნა ბიურო 3 წევრისა და ორ კანდიდატისაგან შემდგარი.

პოლიტიკური მეცადინეობა, კარგ დონეზე სდგას. მეორე რაიკომიდან მოდის მომხსენებელი ამხ. თოფურია. მოხსენების შემდეგ შეკითხვებით ამოიწურება თუ რამე გაუგებარი დარჩა მსმენელისათვის. მოხსენება გრძელდება საათ ნახევარი.

ამხ. მათეშვილი გვიკითხავს ლექციას სანიტარულ საგანზე სრულიად გასაგები და მისახვდომი ენით.

მუშაობის ხელის შემშლელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ყოველგვარი მეცადინეობა გვიხდება ფეხზე.

არა გვაქვს ბინა და დასაჯდომი.

საჭიროა მიექცეს ამ მხარეს მუშაობისას სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი ვანო მეგრელი.

## გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის დრამწრის საქმიანობა.

წელიწად ნახევარია—რაც ქართულ მეთაურთა სკოლის კლუბთან არსებული დრამატიული წრე სისტემატიურსა და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს.

ეს წრე საკმაოდ მიეჩვია თავის მუშაობის გამოცდილებებზე სწავლას.

მუშაობის მეთოდი აქტიურ შრომითია, ხელმძღვანელი წრის წევრებს კი არ ასწავლის არამედ—ეხმარება, ხელმძღვანელობს.

წრეში გასარჩევი მასალები, ყველა საკითხები იკრიბება თვით კურსანტთა მიერ და ირჩევა საერთო ძალებით... წრის მეცადინეობის მთავარი საგანია: თანამედროვობის შესწავლა და მისი საკლუბო მუშაობაში გამოყენება, ახალი ლიტერა-

ტურისა და საკლუბო მუშაობის ფორმების შესწავლა, რის გარშემოც წრის მდივანი და მისი თანაშემწე კრებენ კითხვებს და წრის ხელმძღვანელთან ერთად ამზადებენ წრის მეცადინეობაზე განსახილველად.

საწრეო მეცადინეობაზე გარდა საუბრების და თეორიულ მსჯელობებისა სრულდება წმინდა პრაქტიკული ხასიათის კოლექტიური, მასიური ნომრებიც.

წრის შემადგენლობის 10 პროცენტი სდგამს საკუთარ ინსცენიროვკებს, მაგრამ—რადგანაც წრის შემადგენლობა ახალია—ინსცენიროვკებიც ჯერ-ჯერობით საკმაოდ ძლიერი არაა.

შარშან კი—დრამწრეს მიერ შემუშავებული ინდივიდუალური და კოლექტიური ინსცენიროვკები წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბშიაც იდგმებოდა... ახალ წრეში იყო ინსცენიროვკების კოლექტიურად შექმნის ცდა, მაგრამ ამასაც მეტი გამოცოცხლება უნდა.

ძველი წრე შარშან ბანაკად ყოფნის დროს საკლუბო მუშაობაში საკმაოდ გამოიცადა.

ახალი წრეც ემზადება საბანაკო მუშაობისათვის: წრის მდივნები მართავენ შესაფერ საუბრებს, ადგენენ თვალსაჩინო პლაკატებს და დიაგრამებს. ისინი ხელმძღვანელთან ერთად ახდენენ დაკვირვებებს და წევრთა შესწავლას, რათა ამიერ წრეს გაუადვილდეს აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება და პოლიტ—ინსტრუქტორული მომზადების მიღება.

სევ. ჭიჭინაძე.

ციხის ნანგრევთა სანახავათ.

დავათვალიერეთ ციხის ყველა კუთხე, ნანგრევები, მილები, აუზები. იქვე გაიმართა საუბარი ციხის ისტორიის ირგვლივ.

ამხ. მელიქიამ აგვიხსნა ყოველივე ამ ძველი ციხის შესახებ.

ექსკურსიით ძლიერ გამხიარულებული წითელ-არმიელები დაბრუნდენ ყაზარმებში.

სამხკორი ალ. ნანეიშვილი.

# ამბები სოფლებიდან.

**ბაღის გაშენება.**

სოფ. ნოსირის სათემო გლეხკომმა ადგილობრივ გააშენა ხილის ბაღი, სადაც დარგულია 276 ნამყენი საუკეთესო ჯიშის ვაშლი.

**ავათმყოფთა დასახმარებლათ.**

მარნის (სენაკ. მაზრა) სათემო გლეხკომმა დაიქირავა ეტლი, ავათმყოფთათვის საექიმო დახმარების ჩქარა მიწოდების მიზნით.

**სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო.**

გორის აღმასკომმა მისწერა ყველა სახალხო სასამართლოებს, რომ მათ პირველ რიგში გაარჩიონ სასოფლო სამეურნეო გადასახადის გამო აღძრული საჩივრები.

**კოოპერაციის გაძლიერება.**

სოფ. გომის სათემო გლეხკომმა ჩასწერა ადგილობრივ კოოპერატივში თავის ხარჯზე 45 ღარიბი გლეხი. სულ გორის მაზრაში გლეხკომებმა ჩასწერეს კოოპერატივებში 155 გლეხი.

**შენობის აგება.**

თამაკონში (სენაკ. მაზრა) ადგილობრივი გლეხკომის თაოსნობით შეუდგებიან, ახლო ხანში შენობის აგებას გლეხკომის ფურნისა და სახარაზოს მოსაწყობად.

**გლეხკომის ქონება.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომის ქონება ამჟამად უდრის 8124 ფუთ ხორბალს, 150 ფუთი მარილს, 514 ფუთ ღვინოს და 9.272 მან. ფულათ.

**აღმშენებლობის ფრონტზე.**

სენაკის გლეხკომმა გადასწყვიტა სენაკში გახსნას აფთიაქი და მოაწყოს სამჭედლო და ფურნე.

**უძრავი ფონდი.**

გორის მაზრის გლეხკომის უძრავ ფონდს (სიმდიდრეს) შეადგენს 2.371 დღიური ხილის ბაღი, 182 დღიური ვენახი და 120 დღიური სათიბი.

# ახალი ამბები.

— **„ევკოგრუზ ს“** წევრთა საყურადღებოდ, ცხადდება რომ, იმ წევრებს, რომელთაც არ უსარგებლნიათ გრძელვადიანი კრედიტით, შეუძლიანთ ისარგებლონ ერთი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ გრძელვადიანი კრედიტი შეწყვეტილი იქნება.

— **სესხი გლეხთა სახლს.** გლეხთა ცენტრალურ სახლს ტფილისის აღმ. სკომმა კომუნალური ბანკიდან სესხათ მისცა 6.000 მანეთი.

— **დახმარება დაზარალებულ გლეხებს.** ქალ. აღმასკომმა გადასცა სართიჭალის აღმასკომს 2 ათასი მანეთი სტიქიურ უბედურებისგან დაზარალებულ გლეხების დასახმარებლათ.

— **გლეხთა სახლში.** მიწად—მოქმედ. განყოფილების მიერ გლ. ცენტრალურ სახლში ეწყობა ლექციები სატყეო მეურნეობის შესახებ.

— **ყარაიაზის სარწყავი არხების** შესაკეთებლათ ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 45 ათასი მანეთი.

— **ხის თესლების გასაღება.** მიწად-მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა ფართოდ მოაწყოს საქართველოში ხის თესლეულის დამზადების და საზღვარგარედ გასაღების საქმე.

— **ტანისამოსი ბავშვებისათვის.** განათლების სახალხო კომისარიატი უკვე შეუდგა საბავშო სახლებისათვის საზამთრო ტანისამოსის დამზადებას.

— **პოლიტკატორღელთა საზოგადოებას** ტფილ. ქალაქის აღმასკომმა აპატია მასზე დარჩენილი კომუნალური გადასახადის ნახევარი.

— **ავტომობილები იტალიიდან.** ამიერ—კავკ. საავტომობილო სავაჭრო საზოგადოება იტალიაში იძენს ავტომობილების დიდ პარტიას.

— **ახალი საზოგადოება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ახლო ხანში დაამთავრებს სულით ავათმყოფების მეგობართა საზოგადოების წესდების შედგენას.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ობოლს.** (საარტილერიო ლეგიონი) სასწრაფოთ შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ოგანოვს.** წერილები „გული დაგვწყდა“ და საჭიროა ყურადღება მიექცეს არ დაიბეჭდება. პირველი სრულიად არ გამოდგა, ხოლო მეორეზე ერთხელ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ჩოქლაშვილს.** პირველ ლეგ. სკოლის კომუჯრედის ლია კრების შესახებ არ დაიბეჭდება. წერილში თითქმის არაფერია ნათქვამი.

**ამხ. მორიელს.** გვაცნობეთ

# ექსკურსია.

მე-4-ხე ქ. მ. ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ-არმიელები 19 აპრილს, დილით გავემგზავრეთ ქ. გორის სასოფლო სამეურნეო მუზეუმის დასათვალიერებლათ. იქ დაგვხდა გორის მაზრის აგრონომი, რომელმაც გვიჩვენა სხვა და სხვა განყოფილებანი: მესაქონლეობის, მემინდვრეობის, მევენახეობის, მეფუტკრეობის და სხვა.

აგრონომი დაწვრილებით გვიხსნიდა ყოველივეს, თუ როგორ უნდა ვენახს მოვლა, როგორი ჯიშის საქონელი უნდა მოიშენოს გლეხებმა და როგორ უნდა მოუაროს მას და სხვა.

წითელ-არმიელები დიდის ყურადღებით და დაინტერესებული უსმენდენ აგრონომს.

აძლევდენ მას სხვა და სხვა შეკითხვებს, რაზედაც აგრონომი სათანადო ახსნა-განმარტებას იძლეოდა. ამის შემდეგ აგრონომმა წითელ-არმიელები დაგვასაჩუქრა რამოდენიმე წიგნით.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ გორის

# ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.

**შეკითხვა.** გთხოვთ ამხ. კომენდანტო ამავე გაზეთის საშვალებით გვაცნობოთ როდის შეიძლება პირველი ლეგიონს უშოვოთ ერთი ოთახი, რომ ის მეთაური, რომელიც ეხლა ლეგიონში ცხოვრობს და უჭირავს ის ოთახი, რომელშიდაც უნდა გაიხსნას ქიმიური კაბინეტი გადავიყვანოთ იქ. ეს მესამედ გთხოვთ გაზეთის საშვალებით და ნუ დაგვტოვებ უყურადღებოთ, წითელ არმიელებს ქიმიაშიდაც სურს მომზადება.

სამხკორი მატარებელი № 7 თელია.

# გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის უფროსს.

**შეკითხვა.**

გთხოვთ გაგვიმარტოთ შემდეგი: მეორედ გამოშვებულმა თქვენი სკოლის ახალმა მეთაურებმა 13 სექტემბერს მიიღეს სხვა-და-სხვა ტანისამოსი და საერთოდ ნივთები. (ნივთების ჩამოთვლა საჭიროდ არ მიმაჩნია.) როგორია ეს მიღება, სკოლამ აჩუქა ეს მეთაურებს თუ მისცა და მისი არამატურა გააყოლა ნაწილში. და თუ არამატურა გააყოლა რავადით იყო ეს მიცემული მასზედ.

ამხ· დავალებით მეთაური თელია.

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 12.**

წიგნების კარადაში (შკაფი) ჩვეულებრივად ერთმანეთზე მიწყობილი ერთი თხზულების სამი ტომი.

მთელი ზაფხულის განმავლობაში წიგნის ჭიამ პირველი ტომის პირველი ყდიდან გახრა მესამე წიგნის უკანასკნელ ყდამდე.

გასაგებია: რამდენი გვერდი გაუხრავს ჭიას თუ პირველი ტომი იყო 100 გვერდიანი, მეორე ორასიანი და მესამე 250 გვერდიანი?

სოფ. გიორგეთიდან ამხ. ლოცაბიძისადმი მოწერილი წერილის ავტორის (ყოფილ წითელ არმიელის) სახელი და გვარი.

**ამხ. ამხ. გიგანტს და მკერვალიძეს.** თქვენი წერილები „ერკეთის საბჭოს საყურადღებოთ“ და „მეოთხე ლეგიონში“ არ დაიბეჭდებიან.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**


# განცხადებები

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

**მე 3-მე სამთო ბატარეის კომუჯრედში** შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატად მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

1. ამხ. დავით ზაქარიას-ძეს კავთუაშვილს. 2. ამხ. ჩხეიძე კონსტანტინე მელიტონის-ძეს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით.

**1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის მე 3-მე ბატარეის კომუჯრედის მდივანს.**

მე-6 სე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ წითელ არმიელებს:

1. ცომაია ვაიოზ კირილესძე—სენაკის მაზრა. 2. მიბერიძე პლატონ გიორგისძე—შორაპნის მაზრა 3. ყურუა გრიგორი გიორგისძე—სენაკის მაზრა: ზემო აღნიშნულ პირებზე საწინააღმდეგოთ თუ ვინმემ რაიმე იცის, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა გაზეთ „წითელ არმიელში“ წერილობით.

მეექვსე ლეგ. მეექვსე ასეულის კომუჯრედის მდივანი **ფეხმაშვილი.**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს,

## რომ 1925 წლის 1-ლ მაისიდან შემოღებულია სამგზავრო მატარებლების საზაფხულო მიმოსვლის შემდეგი წესი ტფილისის სადგურზე.

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის წესი 1925 წლის 1-ლ მაისიდან.

**გადიან ტფილისის სადგურიდან:**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩქარი მატარებ. | № 1 | გადის მოსკოვში | 23 ს. 55 წ. | ოთხშაბათობ. | მიდის მოსკოვში | 16 ს. 45 წ. | კვირაობით |
| „ „ | № 1 | „ ლენინგრ. | 23 „ 55 „ | კვირაობით. | „ ლენინგრად. | 10 „ 40 „ | პარასკეობით |
| საფოს. „ | № 3 | „ როსტოვში | 9 „ 28 „ | ყოველ დღე | „ როსტოვში | 5 „ 30 „ | ყოველ-დღე |
| „ „ | № 3-ღ | „ ჯულფაში | 18 „ 00 „ | „ | „ ჯულფაში | 22 „ 15 „ | „ |
| „ „ | № 4 | „ ბათუმში | 23 „ 00 „ | „ | „ ბათუმში | 12 „ 45 „ | „ |
| „ „ | № 3-კახ. | „ თელავში | 23 „ 25 „ | „ | „ თელავში | 7 „ 30 „ | „ |
| სამგზავ. „ | № 7 | „ ბაქოში | 14 „ 40 „ | „ | „ ბაქოში | 7 „ 15 „ | „ |
| „ „ | № 8 | „ ბათუმში | 16 „ 30 „ | „ | „ ბათუმში | 4 „ 15 „ | „ |
| „ „ | № 10 | „ ფოთში | 7 „ 55 „ | „ | „ ფოთში | 20 „ 45 „ | „ |
| „ „ | № 18 | „ ბორჯომში | 13 „ 20 „ | „ | „ ბორჯომში | 17 „ 45 „ | „ |
| „ „ | № 20 | „ „ | 14 „ 20 „ | „ | „ „ | 20 „ 00 „ | „ |
| სამგზ.-საბარგო „ | № 21 | „ ბაქოში | 19 „ 20 „ | „ | „ ბაქოში | 23 „ 55 „ | „ |
| „ „ | № 22 | „ ბათომში | 21 „ 00 „ | „ | „ ბათომში | 22 „ 25 „ | „ |
| „ „ | № 21-ე | „ ერევანში | 7 „ 35 „ | „ | „ ერევანში | 8 „ 10 „ | „ |
| „ „ | № 21-კახ. | „ წნორის-წყალში | 9 „ 00 „ | „ | „ წნორ.-წყალში | 17 „ 55 „ | „ |

**ტფილისში მომავალი მატარებლები.**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩქარი მატარებ. | № 2 | გამოდის მოსკოვიდან | ხუთშაბათობ. | 13 ს. 30 წ. | მოდის ტფ-ში | 5 ს. 45 წ. | ორშაბათობით |
| „ „ | № 2 | „ ლენინგრად. | კვირაობით | 23 „ 00 „ | „ „ | 5 „ 45 „ | პარასკეობით |
| საფოსტო „ | № 4 | „ როსტოვიდან | ყოველ-დღე | 23 „ 50 „ | „ „ | 21 „ 05 „ | ყოველ-დღე |
| „ „ | № 3 | „ ბათომიდან | „ | 17 „ 05 „ | „ „ | 7 „ 30 „ | „ |
| „ „ | № 4-ღ | „ ჯულფიდან | „ | 6 „ 40 „ | „ „ | 11 „ 30 „ | „ |
| „ „ | № 4 კახ. | „ თელავიდან | „ | 9 „ 30 „ | „ „ | 17 „ 45 „ | „ |
| სამგზავრო „ | № 7 | „ ბათომიდან | „ | 1 „ 00 „ | „ „ | 13 „ 10 „ | „ |
| „ „ | № 8 | „ ბაქოდან | „ | 21 „ 15 „ | „ „ | 14 „ 50 „ | „ |
| „ „ | № 9 | „ ფოთიდან | „ | 5 „ 30 „ | „ „ | 19 „ 40 „ | „ |
| „ „ | № 17 | „ ბორჯომიდან | „ | 23 „ 50 „ | „ „ | 4 „ 25 „ | „ |
| „ „ | № 19 | „ ბორჯომიდან | „ | 1 „ 10 „ | „ „ | 6 „ 48 „ | „ |
| სამგზ.-საბარგო „ | № 21 | „ ბათომიდან | „ | 4 „ 00 „ | „ „ | 3 „ 45 „ | „ |
| „ „ | № 22 | „ ბაქოდან | „ | 7 „ 00 „ | „ „ | 13 „ 15 „ | „ |
| „ „ | № 22-ე | „ ერევნიდან | „ | 21 „ 15 „ | „ „ | 22 „ 00 „ | „ |
| „ „ | № 22-კახ. | „ წნორის-წყალიდან | „ | 19 „ 35 „ | „ „ | 5 „ 25 „ | „ |

**შენიშვნა:** 1) საათები აღნიშნულია მოსკოვის დროს მიხედვით, რომელიც ადგილობრივ დროსთან შედარებით უკან არის ერთი საათით.

2) № № 1 და 2-ე მატარებლებს აქვთ თითო ვაგონი, რომლებიც მოუხსნელად მიდიან ბათომამდი, ბორჯომამდი და ერევნამდი და ორი საბარგო ვაგონი, რომლებშიაც მიიღება ცენტრისაკენ გასაგზავნი ტვირთი და ბარგი, რომლებშიც ადვილად ფუჭდება.

3) № № 9 და 10 მატარებლებს თან ახლავს 3 ვაგონი, რომლებიც მიმოყვება მოუხსნელად ტფილის—ქუთაისს შორის, ხოლო № № 19 და 20 მატარებლებს მიმოყვება თითო ვაგონი ტფილის—სურამს შორის.

4) მატარებლების ახალ მიმოსვლის წესზე გადასვლის გამო, 30 აპრილიდან მატარებელი № 3 გავა ტფილისიდან ჯულფამდი, ერევანში შეხვევით მიმოსვლის ახალი წესის მიხედვით, ხოლო მატარებლები № 10 ფოთამდი და № 21 გურჯაანამდი 30 აპრილიდან ივლიან. პირველ მაისიდან მატარებლები № № 21 და 22 ბათომამდი და ბაქომდი ივლიან საკლასო ვაგონებით მგზავრთათვის.

2—1


.ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.